


საქართველო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სასწავლო უნივერსიტეტი  
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის  
რექტორი \_\_\_\_\_ ი. შარაბიძე

22.07.2016



სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემუშავების წესი და  
სტრუქტურა

ND 2-F09-01

შეთანხმებულია:

ISO -სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსი \_\_\_\_\_ ნ. ყურშუბაძე

შემუშავებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი \_\_\_\_\_ ლ. ჯაყელი



## შინაარსი

1. ნორმატიული ბაზა	4
2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები	4
3. ზოგადი დებულებები	7
4. სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია	8
5. გავრცელების არე	12
6. დანართი 1	13



## 1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
2. საქართველოს განათლებისა მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ND 1-01-09;
3. ბრძანება N07/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ 29.01.2016;
4. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება №10/ნ 04.02. 04. 2010წ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ ND 1-01-17;
5. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება №224/ნ 29. 12. 2011წ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ ND 1-01-18;
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №121/ნ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ ND 1-01-10;
7. ბრძანება №120/ზ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ ND 1-01-08;
8. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
9. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
10. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
11. ჩანაწერების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;



## 2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები

### 2.1. ტერმინები

- 2.1.1. **ბაკალავრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის – ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;
- 2.1.2. **ბაკალავრიატი** – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;
- 2.1.3. **დამოუკიდებელი საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;
- 2.1.4. **დოქტორანტი** – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში;
- 2.1.5. **დოქტორანტურა** - აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;
- 2.1.6. **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
- 2.1.7. **მაგისტრატურა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის;
- 2.1.8. **მაგისტი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის – მაგისტრატურისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;
- 2.1.9. **მოდული** – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;



- 2.1.10. **საგანმანათლებლო პროგრამა** – (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
- 2.1.1. **სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი)** - დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ;
- 2.1.2. **საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;
- 2.1.3. **საზღვაო უმაღლესი განათლება** - უმაღლესი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საზღვაოსნო მეცნიერებებში სათანადო კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით;
- 2.1.4. **საზღვაოსნო მეცნიერებების სპეციალობები** - რომლებიც დასტურდება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით (საზღვაო ნავიგაცია, გემის მექანიკა, გემის ელექტრომექანიკა);
- 2.1.5. **საკონტაქტო საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;
- 2.1.6. **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** – მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით;
- 2.1.7. **სასწავლო კომპონენტი** – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/ პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;
- 2.1.8. **სილაბუსის შეფასება** - სათანადო ფორმით აღწერილი სილაბუსის ფორმის, სტრუქტურის, სტილის და შემადგენელი ელემენტების შესაბამისობის განსაზღვრა დადგენილ მოთხოვნებთან;
- 2.1.9. **სტუდენტი** – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული



- სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;
- 2.1.10. **სტუდენტის სასწავლო დატვირთვა** – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;
- 2.1.11. **სწავლება-სწავლის მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);
- 2.1.12. **ფაკულტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
- 2.1.13. **შეფასების კომპონენტები** – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);

## 2.2. შემოკლებები

- 2.2.1. **ECTS - The European Credit Transfer (and Accumulation) System** - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას.
- 2.2.2. **UNESCO/CEPES** - განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (იუნესკოს) უმაღლესი განათლების ევროპული ცენტრი;
- 2.2.3. **IMO** - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია.
- 2.2.4. **STCW**- საერთაშორისო კონვენცია მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ;



### 3. ზოგადი დებულებები

- 3.1. სილაბუსი წარმოადგენს სასწავლო კურსის პროგრამას, რომელიც აღწერს სასწავლო კურსის სწავლების განხორციელების ორგანიზაციულ თავისებურებებს და განვითარების წინაპირობებს, განსაზღვრავს საგნის სწავლების გეგმას და უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სასურველი შედეგის მიღწევის შესახებ. სილაბუსი ეხმარება სტუდენტს სასურველი შედეგის ორგანიზებულად მიღწევაში. აკადემიური მუშაობის ხარისხის კონტროლი ხორციელდება სილაბუსის მეშვეობით საზღვაო აკადემიის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ;
- 3.2. წინამდებარე დოკუმენტის რეკომენდაციები და წარმოდგენილი ნიმუშები შემუშავებულია საზღვაო აკადემიაში სილაბუსის შედგენის გასაადვილებლად;


### 4. სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია

- 4.1. სილაბუსი უნდა შეიცავდეს ამომწურავ ინფორმაციას სასწავლო კურსის ორგანიზებულად განხორციელებისა და მისი შინაარსის შესახებ;
- 4.2. სილაბუსი განიხილება და მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად.
- 4.3. შესწორების შეტანა სილაბუსში წარმოებს საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებებიდან გამომდინარე ან ცვლილებებით იმ დოკუმენტაციაში, რაც სილაბუსის შექმნის ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს;
- 4.4. მოქმედ სილაბუსში ცვლილებები განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:
  - 4.4.1. ავტორის მიერ შეტანილი ცვლილებები განიხილება აკადემიურ დეპარტამენტში;
  - 4.4.2. აკადემიური დეპარტამენტი ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს სილაბუსის პროექტს თანდართული დოკუმენტაციით ( დეპარტამენტის სხდომის ოქმის ამონაწერი);
  - 4.4.3. ფაკულტეტის საბჭოზე განხილული და შეთანხმებული სილაბუსის პროექტი თანდართული დოკუმენტაციით (ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის



ამონაწერი) გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს.

- 4.4.4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია წარუდგინოს საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სილაბუსების ახალი რედაქცია;
- 4.4.5. საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია აღრიცხული და აქტუალიზირებული სილაბუსები ატვირთოს ელექტრონულ შიდა ბაზაში და მოახდინოს მათი დაგზავნა შესაბამის აკადემიურ დეპარტამენტებში.
- 4.4.6. სილაბუსი, რომელიც არ გაივლის ამ ეტაპებს არ წარმოადგენს მოქმედ დოკუმენტს.







- 4.5. სილაბუსის შედგენისას პედაგოგმა (სილაბუსის შემდგენელმა) უნდა შეავსოს სილაბუსის ფორმა მიღებული საზღვაო აკადემიის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს პასუხს შემდეგ პუნქტებზე:
- 4.5.1. **სასწავლო კურსის დასახელება** : სრული სახელწოდება.
  - 4.5.2. **სასწავლო კურსის მოცულობა ECTS-კრედიტებში**: აღნიშნული სასწავლო კურსის შესატყვისი ECTS კრედიტების რაოდენობა;
  - 4.5.3. **სწავლების საფეხური** - ბაკალავრიატი/მაგისტრატურა/დოქტორანტურა;
  - 4.5.4. **სასწავლო კურსის სტატუსი** (სავალდებულო, არჩევითი, თავისუფალი); 1. მის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას ადექვატური დასახელება: სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი და ა.შ.
  - 4.5.5. **განხორციელების სემესტრი**: შესწავლისთვის განკუთვნილი დრო საგანმანათლებლო პროგრამაში .
  - 4.5.6. **პასუხისმგებელი დეპარტამენტი**: კომპონენტის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი სასწავლო აკადემიური დეპარტამენტი;
  - 4.5.7. **სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები**: სასწავლო კურსი, რომლის გარეშე შეუძლებელია დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევა;
  - 4.5.8. **შესაბამისობა STCW კონვენციასთან**: STCW კოდექსის თავის და განყოფილების აღნიშვნა, რომლთა მოთხოვნებთან შესაბამისობა დაცული უნდა იყოს (**მხოლოდ საზღვაოსნო მეცნიერებების სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებს**).

**მაგალითი:**

With ref. to STCW 78/95 Code:

A-II/1 - 2, A-III/1

STCW Function(s):

Navigation at the management level ან/და

Marine Engineering at the management level)

- 4.6. **სასწავლო კურსის სწავლა -სწავლების მიზანი**: ლაკონურად უნდა ჩამოყალიბდეს რა შედეგზეა ორიენტირებული სასწავლო კურსი.
- 4.7. **სწავლებისა და სწავლის ფორმატი, მეთოდები და გადანაწილება დროში**:
- 4.7.1. **სწავლების ფორმატი**: სააუდიტორიო მეცადინეობათა ფორმები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო კურსის შესასწავლად;
  - 4.7.2. **მეთოდები**: სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის მიერ მიზნის მიღწევის უზრუნველყოფისათვის მითითებული განსაკუთრებული ან განსხვავებული საშუალება!



- 4.7.3. **საათების სრული რაოდენობა:** საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განსაზღვრული საათების ჯამი ( საზღვაო აკადემიაში 1 კრედიტი 26 ასტრონომიული საათის ტოლფასი).
- 4.7.4. **საკონტაქტო საათების რაოდენობა:** სააუდიტორიო (საკონტაქტო) და საკონსულტაციო მუშაობაზე გამოყოფილი საათების საერთო რაოდენობა;
- 4.7.5. **დამოუკიდებელი სწავლის დრო:** დრო, რომელიც ესაჭიროება საშუალო უნარებისა და მომზადების სტუდენტს კომპონენტის ათვისებისათვის გათვალისწინებული საშინაო დავალებების, სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი პრეზენტაციების, საკურსო სამუშაოების, ლაბორატორიული სამუშაოების და ანგარიშების შესასრულებლად, დრო სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან მუშაობისათვის (საათების სრული რაოდენობისა და საკონტაქტო და შეფასებისათვის დათმობილი საათების რაოდენობის სხვაობა);
- 4.7.6. **სილაბუსის შეფასებას** ახორციელებს აკადემიური დეპარტამენტი, რომელიც სხდომის ოქმით ანაწილებს მოვალეობებს აკადემიურ პერსონალს შორის.
- 4.7.7. **შეფასების ფორმები** შესაბამის სილაბუსთან ინახება აკადემიური დეპარტამენტში საქმისწარმოების წესების დაცვით.
- 4.7.8. **სილაბუსის შეფასების მონიტორინგს** აწარმოებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და გაწეული ღონისძიებების ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
- 4.7.9. **ცოდნის შემოწმების/შეფასების ხანგრძლივობა:** სავარაუდო დრო, რომლისაც სტუდენტი ანდომებს შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასწრებას;
- 4.7.10. **სწავლების ფორმატი:** სააუდიტორიო მეცადინეობათა ფორმები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო კურსის შესასწავლად;
- 4.7.11. **მეთოდები:** სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის მიერ მიზნის მიღწევის უზრუნველყოფისათვის მითითებული განსაკუთრებული ან განსხვავებული საშუალება!
- 4.7.12. **ცოდნის შემოწმების ფორმები , მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები :**
- 4.7.12.1. **სტუდენტის შეფასება** ხორციელდება შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების დებულებისა და სილაბუსში გაწერილი შეფასების სისტემის მიხედვით;
- 4.7.12.2. **შეფასების შესახებ ინფორმაცია** სტუდენტებს ყველაზე მეტად აინტერესებთ, ამიტომ დეტალურად უნდა იქნეს გაწერილი შეფასების წესი და კრიტერიუმები ცალკეული კომპონენტისათვის. ეს თავიდან აგვაცილებს შესაძლო გაუგებრობას.
- 4.8. **სასწავლო კურსის შინაარსი:** შესასწავლი თემების ჩამონათვალი ლიტერატურის მითითებით. დეტალურად ჩამოაყალიბებული უნდა იქნას ლექციების,



პრაქტიკულების, სამუშაო ჯგუფში მუშაობისა და ლაბორატორიული სამუშაოების თემების ჩამონათვალი, ხანგრძლივობის, ლიტერატურის და განხორცილების კვირის მითითებით.

- 4.9. **ძირითადი ლიტერატურა:** ძირითადი სახელმძღვანელო(ები) ან კონსპექტი/რიდერი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება, ლიტერატურის რეფერენსის მითითებით (საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკა, ლექტორის პირადი საკუთრება, თავისუფალი გაყიდვა და ა.შ.). სავალდებულო სახელმძღვანელოთა ჩამოთვლისას განსაზღვრული უნდა იქნეს სახელმძღვანელოთა აუცილებლობა კურსის ათვისებისათვის (სავალდებულო/ალტერნატიული). თუ სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტს სჭირდება რამოდენიმე ძირითადი სახელმძღვანელო, მაშინ აუცილებელია მიუთითოთ სახელმძღვანელოს რომელი თავები/პარაგრაფებია საჭირო. თუ ძირითადი სახელმძღვანელო არ არის ქართულ ენაზე, მაშინ კურსის შესწავლის წინაპირობებში აღნიშნული უნდა იყოს, რომ სტუდენტს მოეთხოვება სახელმძღვანელოს ენის ცოდნა. გასათვალისწინებელია, რომ განსაკუთრებით ბაკალავრიატის დაწყებით სემესტრებში არ არის რეკომენდებული მხოლოდ უცხოენოვანი ძირითადი სახელმძღვანელოების გამოყენება.
- 4.10. **დამატებითი ლიტერატურა:** ყველა წიგნის, სამეცნიერო სტატიის, ვებ-გვერდისა და სხვა სასწავლო მასალის ჩამონათვალი, რომელთა გამოყენება შეიძლება სწავლებისას.
- 4.11. **სასწავლო კურსის სწავლების შედეგი (რა უნდა იცოდეს, რა უნდა შეეძლოს):** საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო აღწერის შესაბამისი პროფესიული თუ ზოგადი უნარ-ჩვევები, რომლებსაც უნდა ეუფლებოდეს და მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტი სასწავლო კურსით გათვალისწინებული მასალის შესწავლის შედეგად (უნდა ჩამოვყალიბოთ მოკლედ, ლაკონურად, პუნქტუბად).
- 4.12. **სილაბუსის ავტორი (მოდულის ხელმძღვანელი):** სასწავლო კურსის ხელმძღვანელის გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა, წოდება საზღვაო ფლოტში და ელექტრონული (E-mail) მისამართი. აქვე შეიძლება ჩაიწეროს იმ პედაგოგიური პერსონალის მონაცემები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სილაბუსის შედგენისა და მოდულის სწავლების პროცესში.
- 4.13. **სილაბუსის შედგენის და განახლების თარიღი:** როდის იქნა სილაბუსის წინამდებარე რედაქცია განხილული სასწავლო აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე ( ოქმის № \_ თარიღი) .
- 4.14. **დოკუმენტის ზედა კოლონტიტულში** მითითებულია სასწავლებლის დასახელება და ლოგო.



#### 4.15. ქვედა კოლონტიტულში მითითებული უნდა იყოს :

- 4.15.1.ND- ნორმატიული დოკუმენტის საიდენტიფიკაციო კოდი (კოდს ანიჭებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური დადგენილი წესით);
- 4.15.2.AF- სილაბუსის ფორმის ფორმის იდენტიფიკაცია (კოდი მინიჭებულია ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დადგენილი წესით);
- 4.15.3.რევიზია № - -დოკუმენტის პირველი გამოცემა ითვლება , როგორც №1, ყოველი მომდევნო განახლება ექვემდებარება უწყვეტ რიგითობას;
- 4.15.4.რევიზიის თარიღი - ფაკულტეტის საბჭოზე დამკვიცების თარიღი;
- 4.15.5.მოქმედებაში - დოკუმენტის პირველი რედაქციის თარიღი (როდიდანაა ვალიდური) .

## 5 . გავრცელების არე

- 5.1. წინამდებარე დოკუმენტის ორიგინალი და საკონტროლო ეგზემპლიარები ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
- 5.2. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- 5.3. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



სასწავლო კურსის დასახელება		
მოცულობა კრედიტებში		
სწავლების საფეხური		
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულოა	
	არჩევითია	
განხორცილების სემესტრი		
პასუხისმგებელი დეპარტამენტი		
პასუხისმგებელი ფაკულტეტი		
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები		
შესაბამისობა STCW სტანდარტთან		
სასწავლო კურსის სწავლა- სწავლების მიზანი		
სწავლებისა და სწავლის ფორმატი, მეთოდები და განაწილება დროში		
სასწავლო კურსის შინაარსი და განხორციელების მახასიათებლები		



<b>ძირითადი ლიტერატურა</b>																																	
<b>დამატებითი ლიტერატურა</b>																																	
<b>სწავლების შედეგები</b>																																	
<b>შეფასების ფორმები , მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები</b>	<table border="1"> <thead> <tr> <th></th> <th>საბოლოო შეფასება (ქულებში)</th> <th>საბოლოო შეფასება(ვერბალურად)</th> <th>მინიჭებული კატეგორია</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1.</td> <td>91-100</td> <td>ფრიადი</td> <td>A</td> </tr> <tr> <td>2.</td> <td>81-90</td> <td>ძალიან კარგი</td> <td>B</td> </tr> <tr> <td>3.</td> <td>71-80</td> <td>კარგი</td> <td>C</td> </tr> <tr> <td>4.</td> <td>61-70</td> <td>დამაკმაყოფილებელი</td> <td>D</td> </tr> <tr> <td>5.</td> <td>51-60</td> <td>საკმარისი</td> <td>E</td> </tr> <tr> <td>6.</td> <td>41-50</td> <td>არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება</td> <td>FX</td> </tr> <tr> <td>7.</td> <td>0-40</td> <td>ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო კურსი</td> <td>F</td> </tr> </tbody> </table>		საბოლოო შეფასება (ქულებში)	საბოლოო შეფასება(ვერბალურად)	მინიჭებული კატეგორია	1.	91-100	ფრიადი	A	2.	81-90	ძალიან კარგი	B	3.	71-80	კარგი	C	4.	61-70	დამაკმაყოფილებელი	D	5.	51-60	საკმარისი	E	6.	41-50	არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება	FX	7.	0-40	ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო კურსი	F
	საბოლოო შეფასება (ქულებში)	საბოლოო შეფასება(ვერბალურად)	მინიჭებული კატეგორია																														
1.	91-100	ფრიადი	A																														
2.	81-90	ძალიან კარგი	B																														
3.	71-80	კარგი	C																														
4.	61-70	დამაკმაყოფილებელი	D																														
5.	51-60	საკმარისი	E																														
6.	41-50	არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება	FX																														
7.	0-40	ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო კურსი	F																														
<b>სილაბუსის ავტორი</b>																																	
<b>განხორციელებაში მონაწილე პირები</b>																																	
<b>შემუშავების და განახლების თარიღი</b>																																	